ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2780261

ნომერი: AR1431068

თარიღი : 10.08.2016

გაცემის თარიღი : 19.08.2016

გაცნობის თარიღი : 19.08.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უშანგი ჩხეიძის , N 14 / ქალაქი თბილისი , ქუჩა უ.ჩხეიძე , N 16 / ქალაქი თბილისი , უშ. ჩხეიძის ქ. N 12 / ქალაქი თბილისი , ჩხეიძის ქუჩა N12-ის მიმდ. ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ქაჯაია პ/ნ 01006008287
- თბილისი დიღმის მას. II კვ. კორ. 19 ბ. 78

ორგანიზაცია:
- შპს "ბელი" კოდი: 405068439

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის – არსებულ შენობის ფასადზე კარის მოწყობის სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში (სექტორი - დიდუბე), უ. ჩხეიძის ქ. N14/უ. ჩხეიძის ქ. N16/უ. ჩხეიძის ქ. N12/უ. ჩხეიძის ქ. N12-ის მიმდ. ტერიტორიაზე, საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობაში, შ.პ.ს. "ბელი"-ს კუთვნილი ფართის ფასადზე კარის მოწყობის საკითხს.

თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

''მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მოქ. ვალენტინ კასაბოვის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; რეგისტრაციის N 882015519654, 15.09.2015; საკადასტრო კოდი N 01.13.08.010.064; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში (სექტორი - დიდუბე), უ. ჩხეიძის ქ. N14/უ. ჩხეიძის ქ. N16/უ. ჩხეიძის ქ. N12/უ. ჩხეიძის ქ. N12-ის მიმდ. ტერიტორიაზე, საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობაში, შ.პ.ს. "ბელი"-ს კუთვნილი ფართის ფასადზე კარის მოწყობის განხორციელების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge